

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 5 ივნისის სხდომის

ოქმი №30

სტუ-ს სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოუდგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული საკითხების შესახებ სენატის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი) 25 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2013 წლის 3 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებების №25/20 და №25/21 საფუძველზე ორივე ხელშეკრულება წარმოადგენს 2013 წლის კონკურსში გამარჯვებულ საკონფერენციო გრანტებს, სტუ-ს ბიუჯეტი გაიზარდოს: გრანტი №25/20 – 29 550 ლარით, ხოლო გრანტი №25/21 – 30 000 ლარით. სულ - 59 550 ლარით.
2. საქართველოს ხელბურთის ფედერაციის 2013 წლის 31 მაისის №295 წერილის საფუძველზე სტუ-ს ვაჟ-ხელბურთელთა გუნდის საქართველოს ჩემპიონატში წარმატებით ასპარეზობისათვის (დაიკავა I ადგილი), სტუ-ს ანგარიშზე ჩაირიცხა - 10 000 ლარი, რომელიც მიზნობრივად განკუთვნილია გუნდის წევრებისათვის ჯილდოს სახით გადასაცემად. აღნიშნულიდან გამომდინარე, იზრდება სტუ-ს საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი 10 000 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი მთლიანად გაიზარდოს 69 550 ლარით.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე